



ქვეყნის განათლების კომისარიატი

პროლეტარებო ეგულა ქვეყნის განათლების კომისარიატის

♦♦♦♦♦ ფ ა ს ი ♦♦♦♦♦

კერძო პირთათვის 10.000 მანეთი.

სახელმწიფო დაწეს. 8.000 მანეთი.

წელიწადი
მეორე

მთაბე

შაბათი,
თვლისის 22.

1922 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 37

ე თ ვ ე ლ კ ვ ი რ ე უ ლ ი ო რ გ ა ნ ო .

№ 37

ქურნალ „მთაბე“-ს რედაქციისაგან.

ეგულა ხელის მოძწერთა, სახელმწიფო და სასოგადო დაწესებულებათა და კერძო ორგანიზაციების საუურადღებოდ რედაქცია აცხადებს, რომ

ყურნალი უფასოდ არავის გაეგზავნება.

უველა ხელის მოძწერი ვალდაგულია გადაიხადოს მათჲა დარჩენილი ხელის მოძწერის ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოასკობათ ქურნალის გზავნა.

ყურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბეჭდება მხოლოდ ფულის შემოტანის შემდეგ.




რედაქცია ღიაა დილის 9 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ. — კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6-90.

ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი

გ ა ნ ე თ ფ ი ლ ე



ცენტრ. აღმასრულ. კომიტ.

დადგენილება № 7

სრულიად საქ. საბჭოთა ცენტრ. აღმასრ. კომიტ.

შრომის დაცვის ორგანოების პროფესიონალურ წარმომადგენლებთან შრომის სახ. კომისარიატისათვის გადაცემის შესახებ.

პროფესიონალურ კავშირთა ახალი მიზნების მიხედვით და ამ კავშირების ისეთ საფუძველზე დადგომის გამო, რომლის გამოისობითაც ივინი პირობის დამდებ მხარეს წარმოადგენენ, აგრეთვე რათა შრომის დაცვის დარგში სახელმწიფო ფუნქციები შრომის სახ. კომისარიატის ხელში იქნეს თავმოყრილი, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს საპროფესიონალ - საწარმოო კავშირთა საბჭოს გამგებლობაში მყოფი შრომის დაცვის ზედამხედველობის ორგანოები (შრომის ინსპექცია, სანიტარული და ტექნიკური ინსპექციები) და ამ უკანასკნელთათვის მინიჭებული სათანადო სახელმწიფოებრივი ფუნქციები, — ამა 1922 წ. ივნისის 1-დან გადაეცეს შრომის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ განყოფილებათ და ზედამხედველობის ამა ორგანოებიდან მოეწყოს შრომის ინსპექცია.

2. დატოვებულ იქნეს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გამგებლობაში შრომის დაცვის განყოფილებასთან არსებული მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ქვე-განყოფილება დასასვენებელი სახლების სექციითურთ.

3. საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მიერ შრომის დაცვის დარგში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღემდე გამოცემული ყველა დადგენილება და მიწერილობა ძალაში რჩება და მისი ასრულება სავალდებულოა იმ პირობით და დაწესებულებათათვის, ვისაც იგი შეეხება.

4. მიენდოს შრომის სახ. კომისარიატს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს ახალი შტატები შრომის დაცვის, როგორც ცენტრალური ისე ადგილობრი-

ვი ორგანოებისათვის და მოახდინოს პერსონალური შემცირება.

5. მიენდოს შრომის სახ. კომისარიატს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შეიმუშაონ ინსტრუქცია და წესი შრომის დაცვის ორგანოების მთელი მათი პირადი შემადგენლობით, ინვენტარით, კრედიტებით და ნაღდი თანხებით შრომის განყოფილებათათვის გადაცემის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

აღმასრულ. კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. მაისის 29.
ტფილისი. — სასახლე.

დადგენილება № 8

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმისა.

საქართველოს რევოლიუციონური ტრიბუნალის დებულების 31 მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ.

საქართველოს რევოლიუციონური ტრიბუნალის დებულების 31 მუხლის შეცვლისა და დამატებისათვის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს რევოლიუციონური ტრიბუნალის შესახებ მომქმედი დებულების 31 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„განაჩენი, რომელსაც ხელს აწერს უწყებელი საქმის გამრჩევი სასამართლოს საკრებულოს ყველა წევრი, უნდა შედგენილ იქნეს წერილობით, სადაც აღნიშნება სასამართლოს სხდომის დრო, საკრებულოს შედგენილობა ბრალდებულის ან ბრალდებულთა სახელი, მამის სახელი, გვარი, ასაკი, კლასობრივი მდგომარეობა, დანაშაულობის ჩადენის დრო და ადგილი, საქმის გარემოება, რომელიც ბრალდების საგნად შექნა და როგორც დასკვნითი დადგენილებიდან, ისე სასამართლოს გამოძიებიდან გამომდინარე მოსაზრებანი, რაც საფუძველად დაედვა დანაშაულად აღიარების განაჩენს და სასამარ-

თლოს მიერ არჩეულ სასჯელს; ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც გამოტანილ იქნება ვამამაროლებელი განაჩენი—აღნიშნული უნდა იყოს საფუძველი ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობისა ან იმისა, რომ ჩანადენი მას ბრალად არ ჩაეთვალა.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე რთული იქნება, სასამართლოს შეუძლიან დაკმაყოფილდეს, თათბირის შემდეგ, სხდომაზე მოკლე რეზოლიუციის გამოცხადებით, რომელშიაც უნდა აღინიშნოს იგივე ცნობები რაც განაჩენში, ხოლო საქმის გარემოება ვრცლად არ იქნება მოთხრობილი, არამედ განმარტებულ იქნება მარტო ბრალდების საგანი და როდი აღინიშნება ის მოსაზრებანი, რაც განაჩენს საფუძველად დაედვა. ვრცელი განაჩენის გამოცხადება ამ შემთხვევაში გადაიდება შემდეგი დროისათვის, ხოლო იგი დამზადებულ და გამოცხადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს სამის დღისა მოკლე რეზოლიუციის გამოცხადებიდან.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრალური აღმასრულ.

კომ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ცენტრ. აღმას. კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ., ივნისის 30.

ქ. ტფილისი, —სასახლე.

დადგენილება № 9.

სრულიად საქ. საბჭ. ცენ. აღმ. კომ. პრეზიდიუმისა

რესპუბლიკის უღარიბეს მცხოვრებთა სოციალური და სახელმწიფოებრივი დახმარების შესახებ.

რადგან სახელმწიფო ხაზინა ამ უამად მეტად შევიწროვებულა და ამიტომ საჭიროა უღარიბეს მცხოვრებთა სოციალური დახმარების საქმეში მშრომელთა ფართო წრეები—გლეხები, ხელოსნები, შინა მრეწველები და სხვა წვრილი მწარმოებლები იღებდნენ მონაწილეობას თვითმოქმედების გამოჩენით და ურთიერთ დახმარების საშუალებით, — სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა საკითხი რესპუბლიკის უღარიბეს მცხოვრებთათვის სოციალური და სახელმწიფოებრივი დახმარების საქმის მოწყობის შესახებ, ადგენს: წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომი-

სარიატს ამ საქმეს საფუძველად დაუდოს შემდეგი დებულებანი:

1. დაუყოვნებლივ მოწყობილ იქნეს გლეხთა ურთიერთი დახმარების კომიტეტები, ურთიერთი დახმარების საზოგადოებანი, შემდგარი ხელოსანთა, შინამრეწველთა და სხვა წვრილ მწარმოებელთაგან, რომელნიც სხვის შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან, და აგრეთვე სხვა დამხმარე საზოგადოებრივი კომიტეტები;—ამასთანავე ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციებს უნდა გაეწიოს ფიზიკური მეთვალყურეობა, სისტემატიური კონტროლი და დახმარება მათი მუშაობის მაქსიმალური მთლიანობისა, თანაბრობისა და ნაყოფიერებისათვის.

2. იმ პირობით, რომელნიც უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებიან მიეცეს ყოველგვარი შეღავათი მათი ცხოვრების და არსებობის საერთო პირობების გასაუმჯობესებლად (ბინის ქირის გასტუმრება, სამშობლოში წასვლისათვის ხელშეწყობა, დახმარება ინვალიდების გაერთიანებული საწარმოო ორგანიზაციისათვის და სხვ.).

3. თვითველ ცალკე, — გადაჭრით გარკვეულ, — შემთხვევაში გაეწიოს უღარიბესს მოქალაქეთ ერთდროული დახმარება (მიცვალებულის დასასაფლაველად, სამშობლოში წასასვლელად, მძიმე ავადმყოფობის დროს და სხვ.).

4. რეგულიარულად ფულადი შემწეობა (პენსიები), არსებულ თანხის ფარგლებში, დაწესდეს იმ ინვალიდებისათვის, რომელნიც უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებიან.

შენიშვნა: ამ დადგენილებით უქმდება საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წ. ივნისის 19-ის გამოცემული დროებითი წესები უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ შრომის უნარმოკლებულთა უზრუნველყოფის შესახებ.

5. წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს ყველა საჭირო დებულება, ინსტრუქცია, შემწეობის ნორმები—რესპუბლიკის უღარიბესს მცხოვრებთა სოციალური და სახელმწიფოებრივი დახმარების საქმის განსახორციელებლად შემოაღნიშნულ საერთო საფუძველზე.

სრულიად საქართველო. საბჭ. ცენტრ. აღმასრულ. კომიტ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ივნისის 30.

ტფილისი—სასახლე.

სსსკლ. კომისართა საბჭოდ.

დეკრეტი № 10.

საქართველოს სსრ. საბჭ. რესპუბლიკის სსხალხო კომისართა საბჭოსი.

ნადირობის შესახებ.

1. საქართველოს სსრ. საბჭ. რესპუბლიკაში ნადირობის საქმის მოწესრიგება ეკუთვნის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს.

2. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ნადირობის საქმის გაშვებლობისათვის დაევალება:

ა) მოწყობა და გაძღოლა ნადირობის მეურნეობისა, ამასთანავე სანადირო ცხოველების დაცვა-მოშენებაც;

ბ) გამოცემა წესებისა, დადგენილებებისა და ინსტრუქციებისა ნადირობისა და მისი მეურნეობის ყველა საკითხების შესახებ, შემუშავება მონადირეთა კავშირების ნორმალურ წესდებისა, ნადირობის ვადის დანიშვნა და ნადირობის წესების შესრულებისათვის თვალყურის დევნება.

გ) მონადირეთა კავშირების და ადგილობრივი ორგანოების მუშაობის შეთანხმება ნადირობის გაშვებლობის საქმეში.

დ) რესპუბლიკის სანადირო ადგილების სარგებლობის მოწესრიგება, განკარგულება, აღკვეთილი ტყეების დაწესება, ცხოველების გასამრავლებელი ადგილების, ზოოლოგიური ფერმების, საცდელი მეურნეობის და სხვ. დაარსება;

ე) სპეციალური სანადირო სადარაჯოს მოწყობა;

ვ) სანადირო მრეწველობის მდგომარეობის გამორკვევა, ნადირობის სტატისტიკური ცნობების შეკრეფა, მონადირეთა ყრილობების მოწვევა, ჟურნალების, ანგარიშების და მონადირეობის შესახებ სხვა ბეჭდვითი ნაშრომის და ფურცლების გამოცემა;

ზ) მონადირეებისათვის სანადირო იარაღისა, საჭირო მასალისა და ხელსაწყოების მიწოდების ორგანიზაცია;

თ) მტაცებელი და მავნე ცხოველების გასაწყვეტად სათანადო მოქმედების წარმართვა და ღონისძიებათა მიღება.

3. ნადირობის უფლება აქვს ყველა იმ მოქალაქეს, რომელიც-კი წევრად ან კანდიდატად

ირიცხება საქართველოს სსრ. საბჭ. რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატში აღნუსხულ მონადირეთა კავშირისაგან გაერთიანებულ ორგანიზაციაში.

4. ნადირობის კანონიერ საშუალებად ჩაითვლება:

ა) თოფით ნადირობა, როგორც მეძებრით ისე გავაზებით;

ბ) ნადირობა მწვერებით;

გ) ნადირობა ფრინველებით (მიმინო—შევარდნებით და სხვ).

შენიშვნა: ნება დართულია მთელი წლის განმავლობაში ყოველი მტაცებელი ნადირის და ფრინველის და მათი ბარტყების ხოცვა, აგრეთვე მათი ბუდე-ბუნაგის მოშლა-განადგურება, მინდორ ტყეში მოწანწალე ძაღლებისა და კატების ხოცვა ყოველივე საშუალებით, გარდა მოწამელისა.

5. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა დააწესოს, ნადირობის მეურნეობის მოსაწყობად და გასაძღოლად, მონადირეთა კავშირის ყოველ წევრზედ განსაზღვრული წლიური გადასახადი, რომელსაც ახდევინებს ხსენებულ კავშირთა მეშვეობით.

6. სამეცნიერო მიზნით ნადირობა და ცხოველების და ფრინველების დაჭერა, აგრეთვე კვერცხების და ბუდეების შეგროვება შეუძლიანთ მონადირეთა კავშირის არა წევრებსაც, გარნა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარის ნებართვით და მხოლოდ იმ რაოდენობით და იმ დროს განმავლობაში, რაც აღნიშნული იქნება სანებართვით მოწამობაში.

7. რესპუბლიკის ფარგლებში ნადირობის ნებართვის მოწმობად ჩაითვლება მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატში აღნუსხულ მონადირეთა კავშირების საწევრო ბარათი.

8. მონადირეთა კავშირის საწევრო ბარათით მის პატრონს უფლება ეძლევა:

ა) იქონიოს, ატაროს და სანადიროდ იხმაროს ყოველგვარი, ყველა სახისა და ყალიბის სანადირო იარაღი, როგორც: საფანტის სადა-ლულიანი, თუ სამ ლულიანი თოფი, შტუცერი, ყარაზინი, აგრეთვე ყველა სხვა დაღარული სპეციალური სანადირო თოფი, ჯიბის რევოლვერი არა სამხედრო ჯურისა, ნადირობის დროს თავის დასაცავად, მჭრელი იარაღი, სანადირო მასალა, ხელსაწყო, გაწყობილობა და ფრინველ-ნადირის საჭერი იარაღი იმ



რაოდენობისა, რაც საქირო იქნება პირადი გამოყენებისათვის.

ბ) ინადიროს ყველგან რესპუბლიკის ფარგლებში, გარდა დასახლებული ადგილებისა, საკარმიდამო ნაკვეთებისა, ალკვითილ ტყისა და ყველა სხვა იმ ადგილისა, სადაც ნადირობა მოწესრიგებულ იქნება მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული განსაკუთრებული წესებით.

9. მეთვალყურეობა სანადირო წესების შესრულებისათვის ადგილობრივ, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით, დაევალება:

ა) სატყეო ადმინისტრაციისა და მილიციის ორგანოებს და

ბ) მონადირეთა გაერთიანებულ ორგანიზაციებს.

10. ნადირობის კანონების და წესების დარღვევისათვის დამნაშევე დაჯარიმდება სამართლის წესით ას მანეთამდე ოქროთი ან თავისუფლების აღკვეთით ექვს თვემდე.

11. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

12. ამა დეკრეტის გამოქვეყნებისთანავე ძალასა კარგავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წ. ივნისის 3-ს თარიღით გამოცემული დებულება—საქართველოს მონადირეთა კავშირის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატა საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი ს. თოდროია.

სახალხო კომისარიატა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. ივნისის 28. ტუილისი — სასახლე.

დეკრეტი

საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატისა საბჭოსი.

სახალხო კომისარიატისა საბჭოსთან არსებულ სპეციალური საკინისგზო კომისიის შესახებ.

1. სპეციალური საკინისგზო კომისია არსებობს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატისა საბჭოსთან და შესდგება: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა, ფინანსთა სხალხო კომისარიატისა, რკინის გზათა სამმართველოსი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატისა და სასურსათო სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთაგან.

2. კომისიას ექვემდებარება განსახილველად ყველა სატარიფო საკითხი (ახალი ტარიფების დაწესება და არსებულის შეცვლა) და აგრეთვე ყველა ის საკითხი, რომლის განხილვა და დამტკიცება დამოკიდებულია საქართველოს სახალხო კომისარიატისა საბჭოსგან.

3. სატარიფო საკითხების განხილვის დროს კომისიის სხდომაში აუცილებელია შემდეგი დაწესებულებათა წარმომადგენლებ ს მონაწილეობა: სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი, რკინის გზის სამმართველოსა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა; დანარჩენი საკითხებისათვის საკმარისია სამი წარმომადგენლის მონაწილეობა, ხოლო რკინის გზის წარმომადგენლის მონაწილეობა—სავალდებულოა.

4. კომისიას ნება ეძლევა თავის შეხედულებით მოიწვიოს ხოლმე კომისიის სხდომაზე საზოგადოებრივ და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა წარმომადგენელი და კერძო პირნი სათათბირო ხმით.

5. საკითხები კომისიის სხდომაზე გადაწყდება დამსწრეთა ხმის მარტივი უმრავლესობით.

6. გადაწყვეტი ხმის უფლება აქვთ კომისიის მხოლოდ იმ წევრებს, რომელნიც ჩამოთვლილ არიან ამა დებულების 1 მუხლში.

7. კომისიის სხდომებს საქიროებისა და მიხედვით, დანიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

8. კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატისა საბჭო კომისიის წევრთაგან (დებულების 1 მუხ.).

9. კომისიას განკარგულებითი ფუნქციები არა

აქვს. კომისიის ყოველივე დადგენილება მოხსენდება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს კომისიის თავმჯდომარის მიერ.

10. კომისიას უფლება ეძლევა მიიღოს ყველა საბჭოთა საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებისაგან მისთვის საჭირო ცნობები ყველა მის მიერ განსახილველი საკითხის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

სახალხო კომისართა საბჭ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ივლისის 5.

ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 31.

საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ქაჯაქებისა და მაზრების აღმასრულებელი კომიტეტების საფინანსო სამეურნეო განზრახულებათა წინასწარი განხილვის წესის შესახებ.

1. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილების ყოველი საფინანსო სამეურნეო განზრახულება, წინასწარ ტფილისის მუშათა და გლეხთა საბჭოს მიერ დამტკიცებისა, განხილულ უნდა იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ, რესპუბლიკის საერთო საფინანსო პოლიტიკასთან შეთანხმებისათვის. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ვალდებულია გამოიტანოს თავისი დასკვნა ხუთი დღის განმავლობაში შეკითხვის მიღების დღიდან.

2. უკეთუ ფინანსთა სახალხო კომისარიატის და კომუნალური განყოფილების შორის შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნა, — კომუნალური განყოფილების მიერ აღძრული საკითხის განხილვა ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გადატანილ იქნება სახალხო კომისართა საბჭოში.

3. მაზრებისა და ქაჯაქების აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილების საფინანსო სამეურნეო განზრახულება, — წინასწარ სათანადო მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებისა, — განხილულ უნდა იქნეს კომისიაში, — რომელშიაც აუცილებლად მონაწილეობას მიიღებს გადასახადთა ინსპექტორი.

4. უკეთუ კომუნალური განყოფილებისა და გადასახადთა ინსპექტორის შორის შეთანხმება

მიღწეულ ვერ იქნა, — გადასახადთა ინსპექტორი ვალდებულია, სამი დღის განმავლობაში წარუდგინოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს დასაბუთებული პროტესტი. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ვალდებულია განიხილოს ეს პროტესტი პირველ მუხლში აღნიშნულ ვადაზე.

5. ფინანსთა სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ, — ფინანსთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით, — სახალხო კომისართა საბჭოში. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ვალდებულია წარუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს საჩივრის გამო თავისი დასკვნა ხუთი დღის განმავლობაში.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ა. სვანიძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ივნისის 30.
ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 32.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

ფინანსთა კომისარიატთან ადგილობრივ გადასახადთა განყოფილების დაარსების შესახებ.

1. ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივ ორგანოთა შორის საფინანსო დარგში კონტაქტის დასამყარებლად მოეწყოს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ადგილობრივ გადასახადთა განყოფილება.

2. ადგილობრივ გადასახადთა განყოფილებას დაევალება:

- ა) ადგილობრივი ორგანოების თვალყურის დევნება მათი საჭიროებისათვის გადასახადების გაწერისა და აკრეფის საქმეში.
- ბ) ადგილობრივი ორგანოების აღრიცხვათა განხილვა და თავისი დასკვნის წარდგენა.

3. ადგილობრივ გადასახადთა განყოფილებას ეძლევა:

- ა) მიიღოს მონაწილეობა კანონით დაწესებული გადასახადების გაწერაში.



ბ) შეაჩეროს, ფინანსთა სახალხო კომისარის დასტურით, მიზანშეუწონელი გადასახადის გაწერა და აკრეფა.

გ) შეამციროს, ფინანსთა სახალხო კომისარის დასტურით, გადასახადის რაოდენობა.

დ) მოსთხოვოს ადგილობრივ ორგანოთ აღრიცხვათა წარმოდგენა ახსნა-განმარტებით

ე) შეამციროს და შეასწოროს, ფინანსთა სახალხო კომისარის დასტურით, აღრიცხვები.

4. ამა დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან ადგილობრივი ორგანოები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეასრულონ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი გადასახადთა განყოფილების ყველა განკარგულება.

შენიშვნა: განსაჩივრების უფლება—საერთო წესით.

წ. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.
საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე
ფინანსთა სახალხო კომისარი ა. სვანიძე.
სახალხო კომისართა საბჭოს
მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. ივნისის 4.
ტფილისი—სასახლე.

32 №-რის დადგენილების დანართი.

შ ტ ა ტ ი.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ გადასახადთა განყოფილებისა.

№ რიგ.	თანამდებობის სახელწოდება	თანამდებობათა რიცხვი
1	განყოფილების გამგე	1
1	საქმის მწარმოებელი	1
1	მანქანით გადამწერი	1
1	რეგისტრატორი	1
	ს უ ლ	4

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.
საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე.
ფინანსთა სახალხო კომისარი ა. სვანიძე.
სახალხო კომისართა საბჭოს
მდივანი ალ. სალარიძე.

დადგენილება № 33

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

ყველა ადგილობრივი საბჭოს სასარგებლოდ სასურსათო გადასახადის შემოსავლიდან საპროცენტო ანარიცხის დაწესებ ს შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ადგილობრივი საბჭოების სახსარის გასაძლიერებლად აპირებენ დაწესებულ იქნეს საპროცენტო ანარიცხი სასურსათო გადასახადის მთელი შემოსავლიდან 15 პროცენტის რაოდენობისა, — 10 პროცენტი სამაზრო და 5 პროცენტი სათემო საბჭოს სასარგებლოდ.

2. როგორც სამაზრო ისე სათემო აღმასრულებელი კომიტეტის ყველა ხარჯები, დაკავშირებული სასურსათო გადასახადის კამპანიასთან (პრემიით დაჯილდოვება სასურსათო გადასახადის წარმატებით აკრეფისათვის და სხვა ხარჯები), უნდა დაიფაროს პირველ მუხლში აღნიშნული ანარიცხიდან.

4. ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისათვის კუთვნილი ანარიცხის მიცემის ვადას, პირობებსა და წესს, განსაზღვრავს სახალხო სასურსათო კომისარიატი შინაგან საქმეთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.
საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე.
სასურსათო სახ. კომის. ა. ერქომაიშვილი.
სახ. კომ.ს. საბჭ. მდივანი ალ. სალარიძე.
1922 წ. ივლისის 4. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 34

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სახელმწიფო სწავრობა და სხვა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა საკომპენსაციო ხარშების შესახებ სამსახურიდან დათხოვნისათვის.

1. ყველა სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეს, რომელიც დათხოვნილ იქნება სამსახურიდან არა თავისი ნებით (შტატის შემცირებისა, საწარმოო დაწესებულების დახურვისა და მისი ნაწილობრივი ლიკვიდაციის გამო) უნდა გამოეცხადოს ამის შესახებ ორი კვირით ადრე დათხოვნამდე.

შენიშვნა: უკეთეს ამა მუხლში აღნიშნული წინასწარი განცხადება დასათხოვნ მომუშავეს არ ემცნო მას უნდა მიეცეს დახმარება სამსახურიდან გასვლისათვის ორი კვირის სასყიდლის რაოდენობისა.

2. სამსახურის უკანასკნელ ვადათ მუშა-
მოსამსახურისათვის ჩაითვლება მუშაობის ფაქტიურად
დატოვების დღე.

3. ამა დადგენილების გამოცემამდე არსებული
ყველა დებულება ამ საგანზე გაუქმებულია.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან
მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კო-
მისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე**

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე**.

სახალხო კომისართა საბჭოს
მდივანი **ალ. სალარიძე**.

1922 წ. ივლისის 6. ტფილისი - სასახლე.

დადგენილება № 35.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოსი.

საკონცესიო, საიჯარო და კერძო სწავრობა დაწესებულე-
ბის მუშა-მოსამსახურეთა საკამპენსაციო ნორმების შესახებ
სამსახურიდან დათხოვნისათვის.

1. ყველა საკონცესიო, საიჯარო და კერძო
წარმოებათა, დაწესებულებათა და მეურნეობათა
მუშა-მოსამსახურეს, რომელიც დათხოვნილ იქნება
სამსახურიდან არა თავისი ნებით (შტატების შემ-
ცირებისა, საწარმოო დაწესებულების დახურვისა
ან მისი ნაწილობრივი ლიკვიდაციის გამო) უნდა
განეცხადოს ამის შესახებ ორი კვირით ადრე
დათხოვნამდე.

შენიშვნა: უკეთუ ამა მუხლში აღნიშ-
ნული წინასწარი განცხადება დასათხოვნი მო-
მუშავეს არ ემცნო, — მას უნდა მიეცეს კომ-
პენსაციად ორი კვირის სასყიდლის რაო-
დენობა.

2. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღ-
ნიშნული წესით დასათხოვნი მუშა-მოსამსახურეს
უფლება აქვს გარდა საწინასწარ განცხადებო დახმა-
რებისა მიიღოს სალიკვიდაციო გასამრჯელო ერთი
თვის სასყიდლის რაოდენობისა თვითეული ნამსახური
წლისათვის, — როცა სამსახური ორ წლამდეა, და
ნახევარი თვის სასყიდლის რაოდენობისა თვითეულ
ნამსახურა წლისათვის, როცა სამსახური ორ წელს
აღემატება; ამასთანავე სალიკვიდაციო გასამრჯელო
არ შეიძლება იქნეს ორი კვირის სასყიდელზე
ნაკლები და ოთხი თვის სასყიდელზე მეტი; არა
სრული წლისათვის სალიკვიდაციო გასამრჯელო
გამოითვლება თვითეული ნამსახურისათვის სასყი-
დლის ნორმის 1/12 ანგარიშით.

3. სალიკვიდაციო გასამრჯელოს გამოანგარიშ-
ება სწარმოებს უკანასკნელა დროს შრომის ხელ
ფასის მიხედვით ყველა დამატებითი სარგოთი.

4. მუშა მოსამსახურის მუშაობის უკანასკნელ
ვადათ ჩაითვლება ანგარიშის ფაქტიურად გასწო-
რების დღე.

5. ამა დადგენილების გამოცემამდე არსებული
ყველა დებულება ამ საგანზე გაუქმებულია.
6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან
მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კო-
მისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე**.

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე**.

სახალხო კომისართა საბჭოს
მდივანი **ალ. სალარიძე**.

1922 წ. ივლისის 6. ტფილისი - სასახლე.

დადგენილება № 36.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახა-
ლხო კომისართა საბჭოსი.

მუშა-მოსამსახურეთა შვებულების მ ცემის წე-
სის შესახებ.


1. შრომის ყოველი დარგის მუშა მოსამსახურ-
ე, რომელსაც სახელმწიფო, საზოგადოებრივ,
კერძო საწარმოო და სხვა დაწესებულებაში და კე-
რძო პირთან უმუშავნია განუწყვეტილვ არა-ნაკ-
ლებ 5 1/2 თვისა, უფლება აქვს მიიღოს მორიგი
შვებულება, რომლის განმავლობაში ეძლევა ყოველ-
გვარი გასამრჯელო და აგრეთვე ჯამაგირი წინას-
წარ; ამასთანავე იმ პირს, ვისაც უმუშავნია არა
ნაკლებ 5 1/2 თვისა — მიეცემა ორი კვირის შვებუ-
ლება, ხოლო ვისაც უმუშავნია არა ნაკლებ 11
თვისა — ერთი თვის შვებულება.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში
(მინდვრების სამუშაოზე გაგზავნა და სხვ) შე-
მთანხმებელი კომისიის შეხედულებებისამებრ
მომუშავეს ნება ეძლევა ისარგებლოს თავისი
თვითი შვებულება ნაწილ-ნაწილ ორჯერ,
ხოლო იმ პირობით, რომ შუამდგომლობის
საფუძვლად წარმოდგენილ იქნეს სათანადო
საბუთი, რომელიც დაადასტურებს შვებულებ-
ის აღნიშნული დანაწილების აუცილებლო-
ბას.

2. შვებულების დროს გასამრჯელო გაცემულ
უნდა იქნეს საშუალო ხელფასის მიხედვით, რომე-
ლსაც მომუშავე იღებდა სამი თვის განმავლობაში
შვებულებამდე, ხოლო არა ნაკლებ თვითი სამუ-
შაო გასამრჯელოსი, რომელიც მიიღო უკანასკნელ
თვეს შვებულებაში წასვლამდე.

საშუალო სამუშაო ხელფასის გამოანგარიშები-
სათვის შედგელობაში უნდა იქნეს მიღებული: სა-
ტარიფო განაკვეთი, სასყიდელი ზედმეტ მუშაობი-
სათვის, საპრემიო, ნაჭრობით მომუშავესათვის სა-
შუალო სანაჭრო ხელფასი და შრომის სხვა გვარი
სასყიდელი.

3. შვებულების მიცემა სწარმოებს სამსახურის
მთელი წლის განმავლობაში მორიგეობის წესზე,



რომელსაც განსაზღვრავს შემთანხმებელი კომისია, ხოლო ისე რომ დარღვეულ არ იქნეს მუშაობის ნორმალური მსვლელობა.

4. მუშა მოსამსახურეს, რომელიც არ ისარგებლებს შვებულების უფლებას საწარმოო ან სხვა დაწესებულების მიზეზის გამო, მიეცემა კომპენსაციად სათანადო გასამრჯელო, რაც გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ამა დებულების მეორე მუხლის თანახმად; ამასთანავე კომპენსაციის მიცემა სწარმოებს 11 თვის მუშაობის შემდეგ.

შენიშვნა: სამსახურიდან დასათხოვენ მუშა-მოსამსახურეს რომელსაც არ უსარგებლია შვებულების უფლება იმის გამო, რომ სამსახურის სრული კანონიერი ვადა არ შეუსრულებია, მიეცემა ლიკვიდაციის დროს კომპენსაცია საშუალო ხელფასის 1/12 ანგარიშით, თვითთელი ნამსახური თვისათვის.

5. შვებულების სარგებლობა აღნიშნულ უნდა იქნეს ანგარიშის გასწორების წიგნაკში ან სხვა სათანადო დოკუმენტში.

6. დადგენილება ესე არ ეხება იმ შვებულებას, რომელიც მიცემულ იქნება ავადმყოფობის გამო სამკურნალო-საკანტროლო კომისიების მიერ; ამასთანავე ავადმყოფობის გამო მიღებული შვებულება ჩითვლება სამსახურის ვადაში, რომელიც შვებულების უფლებას ანიჭებს.

7. ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან გაუქმებულია არსებული ყოველი დებულება ამ საგანზე.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარია საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუშბაძე.**

სახალხო კომის. საბჭ. მდივანი **აღ. სალარიძე.**

1922 წ. ივლისის 4.

ტფილისი - სასახლე.

დადგენილება № 37.

საქ. სოც. საბჭ. რევ. სახ. კომის. საბჭოსი.
კომუნალური საგადასახადო კომისიების მოწყობის შესახებ.

რადგან ადგილობრივი ბიუჯეტი აღდგენილ იქნა და ყველა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს უფლება მიეცა დააწესოს გადასახადი საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1922 წლის თებერვლის 5-ს დამტკიცებულ ადგილობრივ გადასახადთა დებულების წესის მიხედვით ამა დებულების განსახორციელებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკ. სახალხო კომისარია საბჭო აღდგენს:

1. მოეწყოს სათანადო კომუნალური განყოფილებებთან (ან ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებებთან) კომუნალური საგადასახადო კომისიები გადასახადთა საქმის სპეციალისტის თავმჯდომარეობით. კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი, ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ წარმომადგენელთან შეთანხმებით. კომისიაში თავმჯდომარის გარდა შედის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი წარმომადგენელი, აღმასრულებელ კომიტეტის საფინანსო განყოფილების წარმომადგენელი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი და დასაწესებელი გადასახადის გადამხდელთა ორი წარმომადგენელი.

შენიშვნა: გადამხდელთა წრიდან წარმომადგენლების არჩევის წესი განისაზღვრება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით.

2. კომისიის სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ მკოდნე პირნი.

3. კომუნალური საგადასახადო კომისიის სხდომა შესდგება უკეთუ მონაწილეობას მიიღებს თავმჯდომარე, ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი და გადამხდელთა ერთი წარმომადგენელი.

4. კომუნალური საგადასახადო კომისიის საქმისწარმოება დაეკისრება აღმასრულებელი კომიტეტის საგადასახადო ქვე-განყოფილებას.

5. უკეთუ ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი სცნობს, რომ კომისიის დადგენილება კანონს არ ეთანხმება, ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა შეჩერებულ უნდა იქნეს და საქმე გადასაწყვეტად გადაეცეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის სხდომაზედაც, განსაჩივრებული დადგენილების განხილვის დროს, სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულ უნდა იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

6. ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა, რომელსაც შეუძლიან დაუბრკოლებლად გაეცნოს აღმასრულებელი კომიტეტის საგადასახადო ქვე განყოფილების მთელ საქმისწარმოებას, ხელი უნდა შეუწყოს ქვე-განყოფილებას ყოველგვარი კომუნალური გადასახადის შესახებ ცნობების შეკრებაში და შეუთანხმდება აღმასრულებელ კომიტეტს აღნიშნული ცნობების შეფარდებისათვის მომქმედ კანონებსა და მთავრობის განკარგულებებთან.

7. კომუნალური საგადასახადო კომისიის მოვალეობას შეადგენს:

ა) ადგილობრივი გადასახადის გადახდელთა რეგისტრაცია;

ბ) შესაწერი გადასახადის გამოანგარიშება თვითეულ გადახდელისათვის;

გ) თემისა და სოფლის ორგანოების მოქმედების ხელმძღვანელობა თემისა და სოფლის საქიროებისათვის გაწერილ გადასახადის აკრეფის დროს;

დ) გადახდელთაგან შემოსულ პასუხისა და საჩივრის განხილვა.

8. იმ ცნობებისა და საჩივრების განსახილველად, ზედამხედველობის წესით რომელიც ეხება ადგილობრივ გადასახადთა დეკრეტებისა და ინსტრუქციების დარღვევას, და აგრეთვე კომუნალური საგადასახადო კომისიების მოქმედების შესათანხმებლად, მოეწყოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან ცენტრალური სათათბირო. სათათბიროში შედის სამი კაცი, თითო წარმომადგენელი: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან, კომუნალურ მეურნეობის მთავარ სამმართველოსი, ფინანსთა სახალხო კომისარიატიდან საგადასახადო სამმართველოსი (ან საბიუჯეტო კომისიისა) და მუშათა და გლეხთა ინსპექციისა. სათათბიროს თავმჯდომარედ უნდა იყოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი; ამასთანავე კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სახალხო კომისარიატის საბჭო.

9. იმ გადახდელს, რომელსაც მიაჩნია, რომ იგი უსამართლოდ არის დაბეგრილი უფლება ეძლევა გადახდელთა სიების საყოველთაო ცნობისათვის გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში შეიტანოს პასუხი (საჩივარი) ადგილობრივ კომისიაში.

10. საგადასახადო სამაზრო კომისიის გადაწყვეტილება იმ საჩივრის შესახებ, რომელიც შემოსულია თემის ხარჯებისათვის დანიშნულ გადასახადთა შეწერის გამო საბოლოოა და მისი გაუქმება, მართაოდენ ზედამხედველობის წესით შეუძლიან ცენტრალურ სათათბიროს, იმ შემთხვევაში, უკეთუ დარღვეულ იქნება ამ საგანზე არსებული კანონი და ინსტრუქციები.

11. კომისიის დადგენილება შემოსულ საჩივარის თაობაზე, უნდა გამოეცხადოს გადახდელს და ამ უკანასკნელს უფლება აქვს ორი კვირის ვადაზე განასაჩივროს კომისიის დადგენილება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ ცენტრალურ სათათბიროში, ადგილობრივი საგადასახადო კომისიის მეშვეობით.

12. პასუხისა და საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს გადასახადის გადახდას.

13. ადგილობრივი კომუნალური საგადასახადო კომისია მთელ მუშაობას აწარმოებს კომუნალური განყოფილების აპარატის შემწეობით და მისი უშუალო კონტროლის ქვეშ, ცენტრალურ სათათ-

ბიროს საქმის წარმოება ცენტრში დაევალება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალური მეურნეობის მთავარ სამმართველოს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარე

ს. ქავთარაძე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

ა. გეგეჭკორი.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი ა. სვანიძე.

სახალხო კომისარიატის საბჭოს მდივანი

ალ. სალარიძე.

1922 წ. ივლისის 10. ტფილისი—ს.სახლე.

შინაგ. საქ. სახ. კომისარიატი

სირკულიარულად.

ყველა აღმასკომების შინა მმართველობის განყოფილების გამგეებს.

გადასახადების აკრეფის შესახებ.

გადასახადის აკრეფის პრაქტიკაში ნათლად დაგვანახა, რომ მილიციის აგენტები ძალიან სუსტად ეკიდებიან გადასახადების აკრეფის საქმეს, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ 1921 წლისათვის აღრიცხული საშემოსავლო და სარეწავი გადასახადები დღემდინაც შეუტანელია ხაზინაში.

თანახლად ძირითადი წესებისა, მილიცია ვალდებულია აკრიფოს გადასახადები და ამ ვალდებულებას უფრო ძლიერი ხასიათი ეძლევა მით, რომ ამ გადასახადების 20%-ს იღებენ ადგილობრივი აღმასკომები თავიანთი ხარჯების დასაფარავად. არა ერთხელ მიუმაჯავს კომისარიატს ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ საქირო ზომების მისაღებად, მაგრამ ჩვენი განკარგულებები დღემდინაც არ არის სისრულეში მოყვანილი. გაცნობებთ რა ყოველივე ამას, წინადადებას გაძლევთ პირადათ თქვენი პასუხის მგებლობის ქვეშ მიიღოთ ყოველივე ზომები გადასახადების ასაკრეფად, ნატურით იქნება ის თუ ფულით.

ამასთანავე დავსძენ, რომ ის პირნი, რომლებიც გამოიჩინენ მხურვალე და ენერგიულ მონაწილეობას აღნიშნულ საქმეზედ, დაჯილდოვებულნი იქნებიან სათანადო პრემიალური ჯილდოთი.

გადასახადის აკრეფის დროს მილიციაში უნდა იმუშაოს გადასახადთა ინსპექტორთა და სასურსათო კომისრებთან შეთანხმებით.

შინაგან საქმეთა სახალხო

კომისარიატი ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

30 ივნისი, 1922 წ.

სირკულიარულად

ყველა აღმასკომის თავმჯდომარეს და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს.

ოქმებთან დადგენილებათა, ბრძანებათა და სხ. ასლების წარმოდგენის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციის თანახმად, მოსდის როგორც მოხსენებანი მათი შუშაობის და მაზრის მდგომარეობის შესახებ, ისე ოქმები აღმასკომების და მათი პრეზიდიუმის სხდომებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს საქიროდ მიაჩნია მაზრის და ქალაქის ადგილობრივი ცენტრალური ხელის-უფლების ორგანოებმა სხდომების ოქმებთან ერთად წარმოადგინონ აგრეთვე:

1. ასლები იმ სავალდებულო დადგენილებათა, ინსტრუქციების და ბრძანებების, რომლებიც განხილულ და დამტკიცებულნი იქნებიან აღმასკომის, ან მისი პრეზიდიუმის სხდომაზე.

ოქმებს უნდა დაერთოს თან ცნობები აღმასკომების პირადი შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

3. ოქმები უნდა იგზავნებოდეს დაუგვიანებლად გ. ი. მანამდე სანამ დაგროვდებოდეს რამოდენიმე ცალი, რაც ართულებს მათ გადათვალერებას და აბრკოლებს კონტროლს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

5 ივლისი, 1922. წ.

სირკულიარი

ყველა მაზრის და ქალაქის აღმასკომებს

ნედლი ტყავის აღრიცხვის შესახებ.

გეძლევათ შინადადება მიიღოთ ზომები გასავრცელებლათ და ცხოვრებაში მტკიცეთ გასატარებლათ საქ. ს. ს. რესპ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დადგენილებისა № 11 („კომუნისტი“ № 145, 29 ივნისისა ა/წ. და „პრავდა გრუზია“ № 369, 27 ივნ.) რომელიც გამოცემულია საქართველოში ტყავის მრეწველობის და დამუშავებულ ნედლი ტყავის სწორი აღრიცხვის და განაწილების მიზნით. დადგენილების შინაარსი შემდეგია:

1) ეკრძალება ყველა კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და სამხედრო ორგანიზაციებს და კერძო პირებს ნედლი ტყავის გატანა რესპუბლიკის ფარგ-

ლებიდან. თუ ამაზე არა აქვთ განსაკუთრებული ნებართვა საქ. ს. ს. რესპ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტყავის მთავარი სამმართველოსაგან.

2) შინადადება ეძლევა ყველა კერძო ტყავის ქარხნის მფლობელთ, დაბახებს, მექალამნებს და აგრეთვე საზოგადოებრივ დაწესებულებებს, რომელნიც ამუშავებენ ტყავს—ქალ. ტფილისში ერთი კვირის განმავლობაში და პროვინციაში ერთი თვის განმავლობაში წარადგინონ ს. მ. უ. ს. ტყავის მთავარ სამმართველოში ხარჯთ-აღრიცხვა, როგორც წვრილ ისე მსხვილ ფეხა საქონლის ნედლი ტყავის საქირო რაოდენობის შესახებ განაწილების დროს აღრიცხვისა და ხელმძღვანელობისათვის.

3) დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ს. მ. უ. ს. თავმჯდ. მოადგილე გ. ავაქოვი.

ს. მ. უ. ს. ტყავის მთავარი სამმართველოს გამგე ს. ხოჯამიროვი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი საქმეთა მმართველი დ ჩიქოვანი.

საინსტრ. საინფ. განყ. გამგე შ. დადიანი.

სირკულიარულად

ყველა მაზრის აღმასკომს.

სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოს სავალდებულო დადგენილების ა/წ. 30 ივნისიდან № 3 დისაცავად და ფართედ გასავრცელებლად შინ. საქ. სახ. კომ. „მოამბეში“ თავსდება სავალდებულო დადგენილება სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს № 3 ნავთის ნაწარმოებით ვაჭრობის და შეკოტანის მონოპოლიათ გამოცხადების გამო, რისი დაცვა, გავრცელება ხალხში, და თვალყურის დევნება ევალება ყველა ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ტალახაძე.

საქმეთა მმართველის მოადგილე ცინცაძე.

საინსტრ.-საინფორმატ. გან. გამგე შ. დადიანი.

17 ივლისი.

სირკულიარულად.

ინსტრუქცია მოხსენებათა შედგენის შესახებ.

ყველა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეს და ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოებს.

დამატებად ამა წლის 13 ივნისის ცირკულიარისა (იხილეთ „მოამბე“ № 35) მოხსენებათა წარმოდგენის შესახებ, რომელსაც გზავნიან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, თავიანთი მოდ-

ვაწეობის და მაზრის მდგომარეობის შესახებ. შ. ს. კომისარიატს საჭიროდ მიაჩნია დაუგზავნოს ყველას სახელმძღვანელოდ მოხსენების ხასიათის შესახებ შემდეგი ინსტრუქცია:

I. მაზრის, ქალაქის და ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურმა ორგანოებმა უნდა წარმოადგინონ ში თვეში ერთხელ სრული მოხსენება ადგილობრივი, ცენტრალური ორგანოს მოღვაწეობისა და ადმინისტრაციული ერთეულის მდგომარეობის შესახებ. გარდა შინაგან მმართველობის განყოფილების მდგომარეობისა, დანარჩენის შესახებ უნდა გამოიგზავნოს ამოწურული, მოკლე ფაქტიური მოხსენება.

II. რაც შეეხება შინაგან მმართველობის განყოფილებას აღმასკომის მოხსენებაში მას უნდა ექიროს ცენტრალური ადგილი და იძლეოდეს მთელ სურათს მაზრის ფარგლებში. მოხსენება უნდა შეიცავდეს პასუხს შემდეგ კითხვებზე.

1) რა კითხვებს და ზომებს უფრო აქცევდა თავის მოღვაწეობის დროს ყურადღებას მმართველობის განყოფილება.

2) შემადგენლობა მმართველობის აპარატისა.

3) რამდენი სხდომა ჰქონდა პრეზიდიუმს ან პლენუმს აღმასკომისას.

4) რა კითხვები გადასწყვიტა პლენუმმა ან პრეზიდიუმმა და როგორი იყო მისი შედეგი.

5. რაში გამოიხატება ხელმძღვანელობა ქვეგანყოფილებებისადმი.

6) დახასიათება ქვეგანყოფილებათა მუშაობისა ცალ-ცალკე.

7) რამდენი ინსტრუქტორია მაზრის აღმასკომთან და რაში გამოიხატა მათი მუშაობა,

8) მიიღეს თუ არა მონაწილეობა მაზრის აღმასკომის წევრებმა თემების ინსტრუქტორობაში, დადიოდენ თუ არა ისინი მაზრაში ამ აზრით, თუ კი, რამდენმა იმოგზაურა, სად იყო და შედეგი მათი მუშაობის.

9) როგორ მიმდინარეობდა მაზრის აღმასკომის მმართველობის და თემების აღმასკომების მუშაობა, მათი სუსტი და ძლიერი მხარე, რა შედეგი გამოიღო გაუმჯობესებისაკენ მიმართულმა ზომებმა, თუ კი ასეთი ხასიათის მუშაობა იყო წარმოებული.

10) რაში გამოიხატა თემებისადმი ხელმძღვანელობა.

11) აქვს თუ არა ადგილი უთანხმოებას და შეტაკებას მაზრის ხელის უფლების ორგანოებს მაზრაში შემავალ ქალაქთან, თემებს სხვა თემებთან, ან მაზრას ცენტრთან, თუ კი არის რა საკითხის გამო და როგორ იქნა მოგვარებული.

12) იღებს თუ არა მონაწილეობას მმართველობის განყოფილება აღმასკომის ან პრეზიდიუმის მიერ ბრძანებების, ცირკულიარების და სხ. შემუშავებაში.

13) იყო თუ არა შემთხვევა, როცა მმართველობის განყოფილებამ მოითხოვა მაზრის აღმასკომის ქვემდებარე ორგანოების მიერ გამოცემული დადგენილება, ბრძანება. მიზანშეწონილი საშუალების და სხ. გაუქმება, შეჩერება და სხ. და რა შედეგი მოყვა მას.

14) იყო თუ არა შემთხვევა, როცა აღმასკომმა, ან მისმა პრეზიდიუმმა გამოსცა ან მოახდინა ისეთი განკარგულება, რომელიც ეგებოდა მმართველობის განყოფილებას და ეწინააღმდეგებოდა ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების დადგენილებას; თუ იყო რომელი სახელდობრ: გაუქმებულ იქნა თუ არა და თუ კი, ვისი გაყვლით.

15) იყო თუ არა შემთხვევა, რომ მოხსნილ იქნენ თანამდებობიდან აღმასკომის წევრები: (მაზრის, თემის) და მმართველობის განყოფილების გამგე.

16) რა ნაკლი აქვს მმართველობის განყოფილების მუშაობას.

17) როგორი ხასიათის ახსნა-განმარტებაა საქირო მმართველობის განყოფილებისათვის.

18) რითი, ან როგორ უნდა გაუმჯობესდეს მმართველობის განყოფილების კავშირი შ. ს. კომისარიატთან.

19) რაში გამოიხატა მმართველობის განყოფილების მონაწილეობა რესპუბლიკისათვის საქირო სასწრაფო ან საგანგებო ზომების მიღებაში: შიმშილობის, ეკლესიებში განძეულობის აღრიცხვის, თესვის კაპანისის, სასურსათო კამპანიის და სხვ. დროს.

20) როგორი დამოკიდებულება არსებობს აღმასკომსა, პარტკომსა და პოლიტიუროს შორის.

21) რა მდგომარეობაშია მილიცია: რა აკლია, შემადგენლობა მისი და უნარობა ბანდიტიზმთან და საერთოდ ბოროტმოქმედებასთან ბრძოლისა.

22) მდგომარეობა გზების, ტელეფონ-ტელეგრაფების.

23) ყურნალი „მოამბე“-ს ლებულობენ თუ არა. როგორი ხასიათის ცვლილებას საქიროებს ყურნალი.

24) მიწის რეფორმის გატარების შესახებ ცნობები.

25) სასურსათო მდგომარეობა მაზრისა.


26) განათლების საქვე.

27) შრომის დარგში რა ვაკეთდა: იძულებითი ბეგარა, რამდენჯერ იყო, ვისი ნებართვით.

28) ეკონომიურ დარგში რა ვაკეთდა.

29) საერთოდ მეურნეობის შესახებ ფაქტიური მასალა.

III. აქ ჩამოთვლილი კითხვების შემოკლება არ შეიძლება: პასუხი უნდა იქნეს ყველაზე ზედმეტი კი შეიძლება დაემატოს მომხსენებლის შეხედულებით.



IV. ვინც არ დაიცავს მოხსენების წარმოდგენის დროს ამ ინსტრუქციას, მისი სახელი და გვარი გამოცხადებულ იქნება შ. ს. ს. კომისარიატის „მოამბე“-ში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

საინსტ. საინფ. განყოფ. გამგე შ. დადიანი.

8 ივლისი 1922 წ.

ს ი რ კ უ ლ ი ა რ ი .

ყველა მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს.

როგორც კომისარიატში შემოსულ ცნობებიდან სჩანს, დამშეულ მაზრების გლეხკაცობა, განიცდიან რა უკიდურეს მდგომარეობას სურსათის უქონლობის გამო ხშირად სესხულობენ ადგილობრივ ვაჭრებისაგან და შეძლებულ გლეხებიდან, როგორც ქირაბუღს, აგრეთვე ფულსაც და ეს უკანასკნელი კი იმათგან ღებულობენ უზომო სარგებელს ფულითაც და ქირაბუღითაც ახალ მოსავლიდან; ეს გაჩემოება კი შექმნის ისეთ პირობებს, რომ მთელი გაჭივრებული გლეხკაცობა დაჩრება ამარად მოსავლის შემდეგ და ისევ ჩავარდება საშინელ სიმშლიის კლანჭებში.

ვიღებ რა მხედველობაში, რომ ასეთი მოვლენები დაუშვებელია, წინადადებას გაძლევთ მიიღოთ ზომები, რათა აღნიშნულ ვაჭარ მოვახშეებს და გლეხკაცობის შორის არ ბქონდეს ადგილი ტესხის დროს საერთოდ მიღებულ სარგებლის ნორმის ზედმეტ გამორთქვევას და საერთოდ გლეხკაცობის გაჭივრებულ მდგომარეობით სარგებლობას.

შინ. საქმეთა სახალხო კომისარის. მოადგ. ტალახაძე.

საქმეთა მართ. მოადგ. ა. ცინცაძე.

საერთო განყ. გამგე ა. ჩიქოვანი.

11 ივლისი, 1922 წ.

ბ რ კ ხ ნ ე ბ

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარისა

24 მაისი, 1922 წელი.

№ 15.

პოლონეთისა და ბელორუსიის ლტოლვილთა რეგისტრაციის შესახებ

§ 1

ყველა ღღემდის წარმოებული რეგისტრაცია პოლონეთის მოქალაქეთა გაუქმებულად ჩაითვალოს და დაუყოვნებლივ მოხდეს ასეთივე იმ ლტოლვილებისა, რომელნიც არიან ჩამოსულნი ქვემოაღნიშნულ გუბერნიებიდან: ვარშავის, კაღიშის, კელცის, ლიუბლინის, ლომჟინის, პოლოცკის, რადიშის, სედლეცკის, ხოლომის, სუვალიკის (მაზრები: სუვალიკისა და ავგუსტოვოს, გროდნოს, გარდაქალაქ გროდნოსა იმავე სახელის მაზრით) პინის, (მაზრა: პინის და ნოვოგრუზოვის) და ვოლინის (მაზრა: ვლადიმერ ვოლინის, კოველის, დუბენის, როვენის, კრემენცის, ლუცკის და ოსტროვის).

§ 2.

ლტოლვილებათ ჩაითვლებიან ის პირნი, რომლებიც წარმოადგენენ საქმარის საბუთებს მასში, რომ ისინი 1914 წ. 1 აგვისტომდის მუდმივ სცხოვრობდნენ რომელსავე 1 § ჩამოთვლილ ადგილებში და გამოქცეულნი არიან აქედან ან საერთაშორისო, ან სამოქალაქო ომების მიზეზით ანუ გადმოსახლებულნი არიან სამხედრო ან სამოქალაქო უწყებების განკარგულებით.

§ 3.

რეგისტრაცია უნდა წარმოებდეს დამარწმუნებელ საბუთების მიხედვით მაგალითად: პასპორტის, რომელიც მიღებული აქვს ამა თუ იმ მოქალაქეს წინანდელ საცხოვრებელ ადგილის ადმინისტრაციისაგან საერთაშორისო ომის უკანასკნელ წლებში, ან სამოქალაქო რუსეთ უკრაინის და პოლონეთის ომების დროს, ლტოლვილის წიგნაკი მიღებული ყოფილ ტატინას კომიტეტში, ერობებში, ქალაქთა კავშირში და სხვა ანალოგიურ სახელმწიფო დაწესებულებებში მეფის რეჟიმის დროს, მოწმობანი ანუ ბრძანებნი, საცხოვრებელ ადგილიდან გადასახადების შესახებ ვიდრე ევაკუაციის მოხდენამ-

დის, რომელიც მიცემული იქნება სამხედრო, ან სამოქალაქო უწყებებიდან; ლტოლვილობის სარეგისტრაციო ბარათი მიღებული რ. ს. ს. რ. ნაციათა საქმეების სახ. კომისარიატის ნაციონალურ განყოფილებაში 1919 წ. 1-ლ იანვრამდის, სხვა საბუთები, რომლებიც ამტკიცებენ თავისი შინაარსით იმ ფაქტის აუცილებელ სინამდვილეს, რომ მასში აღნიშნული მოქალაქე სცხოვრობდა ამა ბრძანების 1 §-ში ჩამოთვლილ ადგილებში, როგორც მაგალითად მოწმობება, ან კვიტანციები იმისა, რომ მოქალაქის მიერ გადახდილია იქ საიდანაც არის გადმოხვეწილი კარგა ხნის განმავლობაში, ბინის საფასური, ან კვიტანცია საბინაო ბარგის დაზღვევის შესახებ, წიგნაკი სახელმწიფო დამზღვევ კასისა, იმ ადგილებში მიღებული საიდანაც არის გადმოხვეწილი ესა თუ ის ლტოლვილი უნდა იქნეს ლტოლვილთა ფაქტიურად გადმოხვეწამდის.

§ 4.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ამა თუ მოქალაქის ლტოლვილობის დამამტკიცებელ საბუთად არც ერთი მოწმობა მიღებული მის სამსახურის ადგილიდან ან სხვა ანალოგიურ დაწესებულებიდან, მოწმობები საბუთების დაკარგვის შესახებ, გაპოძიების ოქმები შედგენილი მილიციის მიერ და სხვა ასეთები.

§ 5.

ლტოლვილებთან გათანასწორებული არიან ყოფილი სამხედრო ტყვეები საერთაშორისო ომისა, რომლებიც სცხოვრობდნენ ამ ბრძანების 1 §-ში მოხსენებულ გუბერნიებში 1914 წ. 1 აგვისტომდის.

§ 6.

ლტოლვილებად არ ჩაითვლებიან ის პირნი, რომელნიც სცხოვრობდნენ 1 §-ში მოხსენებულ გუბერნიებში, როგორც სამხედრო ან სამოქალაქო უწყების მოხელენი ძველი რეგიმის დროს.

7.

ამ ბრძანებაში მოხსენებულ პიროვნებათა რეგისტრაცია სწარმოებს უშუალოდ საქ. ცენტროფეაკში დღიდან ბრძანების გამოცხადებისა.

§ 8.

ყველას, რეგისტრაციაში გატარებულთ წინა-

დადება ეძლევათ, სანამ მათ გასამგზავრებელი ცილებელი სიები და საბუთები დამზადდებოდეს მშვიდათ უკადონ თვით გამგზავრებას, ვინაიდან გამგზავრების დღე გამოცხადებულ იქნება იმ ანგარიშით, რომ ყოველი გასამგზავრებელი მოქალაქე თამამად მოასწრობს თავისი ქონების სრულ ლიკვიდაციას.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის
მოადგილე ტალახაძე.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.


ბრძანება № 47

საქართველოს რესპუბლიკის მ/გ მილიციისადმი.

ამა წლის 31 მაისს სიღნაღის მაზრაში ბანდიტებთან შეტაკების დროს მილიციის შემადგენლობიდან დაიხოცნენ თანამშრომელნი: 1, გოგილაშვილი გიორგი, 2, ბეჟაშვილი ლადო, 3, ტუხაშვილი დათა, 4, გომელაური ვასილი, 5, მესტიაშვილი იოსები და აგრეთვე დაჭრილი იქმნენ: 1, სალარიძე კოლა, 2, დარჩაშვილი ვასილი, 3, ტაბუტაშვილი სარდიონ, 4, კორაშვილი იოსები, 5, ბეგიაშვილი ლიპონა.

ზემოაღნიშნულმა პირებმა თავი შესწირეს ხალხის მტრებთან ბრძოლას და საკუთარი სისხლის დანთხევით დამამტკიცებს, თუ რამდენათ ერთგული არიან ისინი მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისა, რომელიც ერთად-ერთი დამცველია ერის დაჩაგრულ ნაწილისა; ისინი წასაბაძი მაგალითად გახდნენ ყველა მათთვის, ვისაც წილათ ხვდა ჩაგრულ სვე ბედის ფხიზელი მეთვალყურეობა. ამიერიდან მათი სახელები წარუშლელი ასოებით აღიბეჭდება იმათ გულში, ვისი ასაწიოკებლადაც გამზადებულ იყვნენ ბანდები, რომლებთან ბრძოლას შეეწირა მრავალი სიცოცხლე და ამით დახოცილ და დაჭრილ მილიციელებმა უკვდავი ყვეს თავიანთი სახელი მშრომელი მასის მესხიერებაში.

ყველა მოკლულებს დარჩათ ოჯახის წევრები, რომლებიც სავსებით მოკლულთა სარჩენი იყვნენ: ოჯახის მარჩენელის დაკარგვით, ისინი განიცდიან; სულიერ მწუხარებასთან ერთად, მატერიალურ გაჭირვებასაც, საბჭოთა ხერისუფლება არ დაივიწყებს ერთგულ და თავდადებულთ, საგუშაგოზე გმირულად დაღუპულ, თანამდებობის პირთა ოჯახის წევრებს და, შეძლებისამებრ, შეეცდება მათი უზრუნველყოფას.



ვიზიარებ რა დაღუპულ ოჯახის წევრების მწუხარებას, ვადგენ მიეცეს ერთდროულ დახმარების სახით დახოცილ მილიციელთა ოჯახის წევრებს ორ-ორი მილიონი მანეთი თითოეულს, ხოლო დაქრილ მილიციელებს ორ-ორი მილიონი მანეთი თითო.

შინ. საქმ. სახ. კომისარი გეგეჭკორი.

სამილიც. განყოფ. უფოსი ქავთარაძე.

11 ივლისი, 1922 წ.

ქალ. ტფილისი.

სსს. შიშინ. უმაღლ. საბჭო.

უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს

საპალდეგულო დადგენილება № 3.

თანახმად სახალხო კომისარია საბჭოს დადგენილებისა, იპის შესახებ, რომ (დეკრეტი № 3 მუხ. მე-5-ე) ნავთის ნაწარმოებით ვაჭრობა და მათი შემოტანა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში არის გამოცხადებული სახელმწიფო მონოპოლიათ, უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭო ადგენს:

1) ეკრძალებათ ბითუმით ვაჭრობა ნავთის და სხვა და სხვა მისი ნაწარმოების, როგორც კერძო პირებს ისე სახელმწიფო დაწესებულებებს და საზოგადო ორგანიზაციებს, გარდა უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს სათბობ განყოფილებისა.

2) ეკრძალებათ წვრილი ვაჭრობა ყველა კერძო პირებს და საზოგადო დაწესებულებებს, რომელთაც არა აქვთ უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს სათბობ განყოფილებიდან წვრილი ვაჭრობის წარმოების ნებართვა.

3) სახელმწიფო დაწესებულებებს და საზოგადო ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა მიიღონ ნავთი და ნავთის ნაწარმოები თავიანთ საქროებისათვის, ეკრძალებათ აწარმოონ გაცვლა-გამოცვლა ამ ნაწარმოებებზედ.

4) ყველა ნავთ-ნაწარმოებების გადამზიდველთ და შემნახველთ უნდა ქონდეთ გასამართლებელი საბუთები (ხუნდაუბები, კვითრები, ფაქტურები, ანგარიშები და სხვა) რომლებიც წარდგენილ უნდა

იქნეს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს სათბობ განყოფილების კონტროლიორების პირველ მართბონილებისთანავე.

5) ყველა ამ დადგენილების აღსრულებლებს და აგრეთვე კერძო პირებს და დაწესებულებებს, რომლებსაც არ ექნებათ ვაჭრობის ნებართვა, საქონელი ჩამოერთმევა და ვაჭრებს კი გარდა ამისა ღუქნები დაეკეტებათ.

დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოცხადებისა.

უ. ს. ს. ს. თავმჯდ. მოადგილე ავაკოვი.
უ. ს. ს. სათ. განყოფ. გამგე მ. ბორკონი.
დრ. საქმეთა მმართველი პერსტოვა.

განცხადებანი:

თელავის უბნის სახალხო მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ტიგრან მარტირუზას ძე ალხაზოვის მემკვიდრეებს, რათა ორი თვის განმავლობაში განაცხადონ თავიანთი უფლება მისი გარდაცვალების შემდეგ დატოვებულ ქონებაზე. სახალხო მოსამართლე.

დავით ბეზინა პასპორტი მიღებული ალექსანდროპოლის მილიციის სამმართველოდან ამა წლის 3 მარტს № 206 ავეტიკ არუთინას ძე ოდაბაშიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1-1

დაპარბულია პასპორტი მიხეილ ვეგენის ძე, ანნა ალექსის ასულის და იროიდა მიხეილის ასულის ფადევეის სახელზე. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. 2-1

თანახმად 68 მუხ. დეკ. № 28 საქართველოს რევოლიუც. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილ. ქ. ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვეგანყოფილება, აცხადებს, რომ **ზაქარია ნიკოლოზის ძე ოქროცვარიძემ** შემოიტანა განცხადება მისი გვარის ოქროპირიძეზე შეცვლის შესახებ.

ქვეგანყოფილების უფროსი (ხელის მოწერა).
საქმისმწარმოებელი (ხელის მოწერა).
1-1.

თანხმად 68 მუხ დეკ. ძალ. საქართ. რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. № 8 აპრილის ქ. თბილისის აღმ. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტებ. ჩაწერის ქვეგანყოფილება აცხადებს რომ მაგდუს ამბაროვამ შემოიღანა განცხადება მისი გვარის მარგარიტა ჩიტჩიანზე შეცვლის შესახებ.

ქვეგანყოფ. უფროსი სიმონი შვილი. 1—1.

დავით იაკობის ძე აჯიაშვილმა მე განმიცხადა რომ მას დაეკარგა ს. ბანძაში პირადობის ბარათი № 60 და სამსახურის ნუსხა სამხედრო კომისარიატისაგან № 3675 და ითხოვა მათი გაუქმება.

მილიციის უფროსი ლ. კიკალი შვილი. საქმის მწარმოებელი (ხელის მოწერა) 1—1.

ფინანსთა კომისარიატის არაპირდაპირ გადასახდთა განყოფილება აცხადებს, რომ ღვინის გადასატანი მოწმობა № 6662-ით 27 ივნისს 1922 წ. და ღვინის შექმნის კუბონის წიგნაკი № 420-ით დანომრილი №№ 6264—6279 სტეფანე ონანოვის ღვინის სარდაფის სახელზე (1922 წლისათვის, მე-3-ე უბანი, გრაფის ქ. № 3) პატრონს დაუკარვავს, რაც ითვლება გაუქმებლად.

ფინანსთა კომისარიატის არაპირდაპირ გადასახდთა განყოფილება ამით აცხადებს, რომ ღვინის გადასატანი მოწმობა, რომელიც იყო მიცემული ველისციხის ოპერაციის აქციზის კონტროლიორი ბერიძის მიერ 31 იანვარს 1922 წ. № 423-ით რ. არჯევანიძის და კორაშვილის სახელზე ქ. თბილისში, პლენანოვის პრ. № 37 მე-9 უბან. (10 კასრი 500 ვედრო) ღვინის წამომღებს დაუკარგავს, რომლის ნაცვლად მიცემულია 25 ივნის 1922 წ. ნაწმობის პირი და დედანი გაუქმებულია.

ფინანსთა კომისარიატის არაპირდაპირ გადასახდთა განყოფილება ამით აცხადებს, რომ ღვინის გადასატანი მოწმობა, რომელიც იყო მიცემული თელავის მაზრის აქციზის ინსპექტორის თანაშემწის ლ. მაყაშვილის მიერ 21 ნოემბერს 1921 წ. 10835 №-ით კოოპერატიული საზოგადოება „კახეთი“-ს ღვინის სარდაფის სახელზე ქ. თბილისში გოგოლევის ქ. № 63 მე-10 უბანში (45 კასრი 1826 ვედრო ღვინოზე) ღვინოს წამომღებს დაუკარგნია, რომლის ნაცვლად მიცემულია მოწმობის ასლი და დედანი გაუქმებულია.

ფინანსთა კომისარიატის არაპირდაპირ გადასახდთა განყოფილება ამით აცხადებს, რომ ღვინის გადასატანი მოწმობა, რომელიც იყო მიცემული კარდნახის რაიონის აქციზის კონტროლიორ ვახკახიძის მიერ 1922 წ. № 11131-ით კოოპერატიული საზოგადოება „კახეთი“-ს ღვინის სარდაფის სახელზე ქ. თბილისში, გოგოლევის ქ. № 63 მე-10 უბანში (40 კასრი 1250 ვედრო ღვინოზე) ღვინის წამომღებს დაუკარგნია, რომლის ნაცვლად მიცემულია მოწმობის ასლი და დედანი გაუქმებულია.

დავპარბე პასპორტი, მიღებული 1922 წ. თებერვალში ვალიკო ზურაბის ძე გოგაბერიშვილის სახელზე. გთხოვთ ჩასთვალათ გაუქმებულად. (1—1)

